K 4393/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქასპის მჭიდისა და კერამიკის
ფარმოების ქარხანა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კოლექტიური ხელშეკრულება

ქასპის მჭიდის და კერამიკის ქარ-
ხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟ.-
ტექნ მ., ქარხკომის თავმჯდომარე
სურმავას სახით, და ამავე ქარხნის
ადმინისტრაციას შორის, მისი დი-
რექტორის ქებაძის სახით, 1933
წლისთვის.

K 4.393
1

ტფილისი.
1933 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეგ-2000
შემოწმებულია

პოლ. ტრესტის №-3 სტამბა, პლეხანოვის გამზირი № 76.

ეკვ. № 1500. მთავ. № 616. ტირაჟი 070

§ 1. ეს ხელშეკრულება ისახავს თავის მთავარ ამოცანად ამხ. სტალინის 6 მითითებათა, ს.კ.პ.(ბ) ც.კ. და ც.ს.კ. იანვრის გაერთიანებული პლენუმის, საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მე-IV ყრილობის დადგენილებათა სრულ რეალიზაციის საფუძველზე, მეორე ხუთწლედის 1-ლი წლის სახალხო მეურნეობათა გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, რომელიც შექმნის უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას ჩვენს ქვეყანაში, შრომის ნაყოფიერების ზრდით, თვითღირებულების შემცირებით, ტექნიკის დაუფლებით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით, კლასიური სიფხიზლით და ოცშეჯიბრება-დამკვრელობის შემდგომ განვითარებით, გამომდინარე აქედან მუშათა, ი. ტ. მ. მოსამსახურეთა კულტურული ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას.

§ 2. წინა მუხლში აღნიშნულის მიხედვით ადმინისტრაცია, ქარხკომი, მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მოსამსახურენი კისრულობენ ვალდებულებას სავსებით განახორციელონ 1933 წ. საწარმოო გეგმასთან დაკავშირებით დაწესებული შემდეგი ოდენობითი და ხარისხობრივი მაჩვენებლები

საწ.-საფ. გეგმი ნ და აგრეთვე შეასრულონ ის დავალებები, რაც გამომდინარეობს წარმოების მუშათა შემხვედრ გეგმიდან და მიღებულია ადმინისტრაციის მიერ.

ა) საერთო პროდუქცია 26/27 ნ. წ. ფასებში 4,321,5 ათასი მანეთი, ნატურით 825,000 ბოჩკა ცემენტი.

ბ) შრომის ნაყოფიერების გადიდებაში 11,3% წელიწადში, შემდეგ ფაქტორების საშუალებით:

1) გამოსვლების რაოდენობის გადიდება 5%

2) მუშათა დღის შემჭიდროება და მუშაობის პროცესების გაუმჯობესება 3%.

3) ტექნიკური მოძრაობა (მექანიკური რაციონალიზაცია) 1,3%.

4) ახალ მოწყობილობის ხარჯზე 2%.

გ) მომუშავეთა საშუალო რაოდენობა წელიწადში 689 კაცი.

კვარტალურად:

I კვ.—663 კაცი
II „ —704 „
III „ —696 „
IV „ —691 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატეგორიები ცეხების მიხედვით.

№№	შრომის კატეგორიები	სულ ქარხანაში.	მათ შორის ცეხებში								
			ჯრიცერი	საწარმ.	მექან.	ელექტ.	ფუთაკი	საღებმენ.	სამეურნ.	ნაბეღლ.	სხვები
1	მუშები	453	166	97	84	26	31	28	10	11	
2	ი. ტ. მ	77	7	9	12	2	6	3		7	31
3	მოსამსახურე	56	9	7	3	4	2	2	5		24
4	მოწაფეები	27	1	1	18	2		5			
5	მ. ო. პ.	76	5	5	1		2	1		2	61

დ) მთელი წლის ხელფასის ფონდი ყველა მუშების კატეგორიების მიხედვით 1.235.885 მან.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება პროდუქციის ხარისხის გამოშვების დავალება, რომელიც შეიძლება მოხდეს შემდგომ ორგანიზაციების განკარგულებით, ცვლილებები გაფორმებული იქნეს დამატებითი შეთანხმებით აღნიშნულ ხელშეკრულებასთან.

§ 3. მეორე პარაგრაფში აღნიშნულ დავალებათა შესრულება ვალდებულნი ვართ ჩავატაროთ ერთმართველობისა და სამეურნეო

მათ შორის კვარტალებში კატეგორიების მიხედვით:

№№	შრომის კატეგორიების	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	
1	მუშები	169.150	192.929	187 525	190.737	ს. ლ. პ. ერთად
2	მოსამსახ.	99.949	99.949	99.949	99.949	
3	მოწაფ.	3.056	3.056	3.056	3.056	
4	მ. ო. პ.	20.877	20.877	20.877	20.877	
	სულ	293.032	316.811	311.407	314.635	

ანგარიშის მტკიცე დაცვით, მექანიზაციის დანადგარების და მანქანების სწორეთ და მთლიანად გამოყენების გზით, სოციალისტური შრომის ფორმების განვითარებით (სოც შეჯიბრება, დამკვრელობა), დისციპლინის განმტკიცებით და მათი უმაღლეს ფორმებში გადაყვანით; ცვლათა შემხვედრი დაგეგმით, სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანით ცვლათა, შრომის გასამრჯე-

ცეხში მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით

№№	შრომის კატეგორიების	ცეხში								
		კარიერ	საწ.	მექან.	ელექ.	თუთ.	საალმ. სარემ.	ლაბორატ.	სამეურ	სხვები
1	მუშები	274.6	157	134.5	42,3	50.3	45.5	17 8	16.3	—
2	მოსაშსახ. და ი.ტ.მ.	48.096	48.096	45.090	18.036	24.048	15.030	21 040	15.030	165,330
3	მოწაფეები	452	452	8.151	905	—	2.264	—	—	—
4	მ. ო. პ.	5.495	4.396	1.099	—	2.108	1.099	2198	—	67.039

დ) ქარხნის თვითღირებულების გადიდება, შემდეგ ფაქტორების საშუალებით.

1) მასალების, სათბობის და ენერგიის +9,7%. ეს უკანასკნელი მცირდება ხელფასის საშუალებით (შრომის ნაყოფიერება) 1,6%-ით და საბოლოოდ თვითღირებულებას მივიღებთ მხოლოდ 8,1%-ით.

ლოს საკითხში, გაუპიროვნების და წვრილ ბურჟუაზიულ გათანაბრების აღმოფხვრით, ტექნიკის დაუფლებით, მუშათა გამომგონებლობის ყოველმხრივ განვითარებით, ლითონის, საბრძოლ ბის ენერგიის, ნედლეულის მასალების, ნახევარ ფაბრიკატების ეკონომიის რეჟიმის მტკიცე დაცვით, შინა რესურსებისა და მათ შორის ტექნიკური სიძლიერის ხელსაწყოს მაქსიმალური გამონახვით და მაქსიმალურად გამოყენებით; დაზგების, მანქანების და იარაღებისადმი ფრთხილად და მზრუნველობითი მოპყრობით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისთვის აქტიური ბრძოლით, მუშაობის გაცდენისა და დაწუნებული საქონლის (ბრაკი) შემოკლებით, მუშათა ძალების სამუშაოზე ორგანიზაციულად აყვანით, მუშათა ძალის ცვალებადობის ლიკვიდაციის და ზედმეტი მუშა ძალის გამომჟღავნევით.

§-4. ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) 1933 წ. გეგმის დავალება დაიყვანოს საამჭროებამდის არა უგვიანეს კვარტალის პირველ თვის 15 რიცხვისა და ბრიგადებ ის—არა უგვიანეს ათი რიცხვისა.

ბ) არა უგვიანეს თითოეული თვის 30 რიცხვისა მიეცეს საამქროებს საწარმოო დავალებები შემდგომი თვისათვის.

გ) დააწესოს მასალების, ნედლეულის, სათბობის, ელექტრო-ენერგიისა და სხვათა დახარჯვის ნორმები ნაწარმოებთა მიხედვით: მუშა ხელის 1.04 კაც საათი, ნედლეულობა 220 კგ. კირი 30 კგ. თიხა, ელექტროენერგია 12,5 კგ. საათი, სათბობი-39 კგ. პირობითი სათბობი. მოაწყოს ყოველდღიური სისტემატიური კონტროლი საამქროებში ნორმების შესრულებისა და ნაწარმოებთა ხარისხის შესამოწმებლად.

დ) უზრუნველყოს მომუშავეთა შეუფერხებელი მომარაგება:

1. ნედლეულით.
2. სათბობით.
3. ნახევარ-ფაბრიკატებით.
4. მასალებით.
5. ხელსაწყო იარაღით და
6. სათადარიგო მასალებით.

ე) აწარმოვოს მუშათა ძალის სამუშაოზე ორგანიზაციულად აყვანა, გამოამჟღავნოს ზედმეტი მუშა-ხელი და გეგმიანათ გაანაწილოს იგი·

ვ) სწორად გამოიყენოს შრომა მუშა-ხელის განსაზღვრულ დაზგებზე მიმაგრებით, თავის დროულად ჩაატაროს ორგან. დაზგების შეკეთებისა.

ი) შემოიღოს და განამტკიცოს პირდაპირი და შრომის ანაზღაურების სხვა წამახალისებელი სისტემა, გავრცელდეს მთავარ სახის სამუშაოზე ნორმები ტექნიკური დანორმვის საფუძველზე და შემოღებული იქნეს გამომუშავების და ხელფასის სწორი აღრიცხვა, რისთვისაც გადაიყვანოს სანარდო სისტემაზე პროფესიები:

1. გამგორებლები კარიერში 16 აპრილისათვის.
2. მჭედლები კარიერზე 1-ლ მაისისათვის.
3. მაღ. მუშა თიხის კარიერზე 18 აპრილისათვის.

კ) ყოველთვიურად წარმოუდგინოს ქარხკომს შრომის ნაყოფიერების და შრომის ანაზღაურების ანალიზი და აგრეთვე ცნობები ხელფასის ანაზღაურების.

ლ) გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება შრომის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორ-

მების გავრცელებას, დამკვრელი ბრიგადების, სანიმუშო პროდუქციის ბრიგადებს, სამეურნეო ანგარიშზე არსებულ ბრიგადებს, ცვლათა შემხვედრი დაგეგმვა და სხვა.

მ) ყოველ დეკადაში წარუდგინოს ქარხნის მუშათა კომიტეტს ცნობები საამქროსა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადების მიერ საწარმოო გეგმის ოდენობითი და ხარისხობრივი დავალებათა შესრულების შესახებ.

ნ) ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივ კვების, საცხოვრებლებისა და კულტურულ ყოფაცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ო) დაეხმაროს მუშათა ტექნიკური ცოდნის ამაღლებას, მასიური ტექნიკური პროპაგანდის მოწყობით.

პ) უზრუნველჰყოს მომსახურება ერთნაირად, როგორც დღისით, ისე ღამით მომუშავეთათვის.

§-5. მუშები, ინჟენერ-ტექნიკური პერსონალი და მოსამსახურეები ვალდებულნი არიან:

ა) სავსებით აღმოფხვრან არა საპატიო მიზეზებით სამუშაო-გაცდენები, მიიღონ ზომები მუშების გაჩერება-გაცდენის ასაცილებლად და შესამცირებლად, მაქსიმალურად დატვირ-

�ონ სამუშაო დღე, დაწესებულ საწარმოთა
დავალებების სავსებით და გადაჭარბებით შეს
სრულებით და აგრეთვე პროდუქციის ხარის-
ხის გაუმჯობესებით და წუნდებულ პროდუქ-
ციის (ბრაკი) შემცირებით.

ბ) მზრუნველობით მოეპყრან ხელსაწყოებს
და იარაღს, დაზოგვით და მომჭირნეობით
მოიხმარონ ნედლეული, სათფობი, ნახევარ-
ფაბრიკატები, არ გადაამატონ მუშა-ხელის
ნედლეულისა და სხვათა დაკანონებულ
ნორმებს.

გ) სისტემატიურად აამაღლონ თავიანთი
კვალიფიკაცია, პოლიტექნიკურ სკოლებსა,
წრეებში და სხვა მეცადინეობით.

დ) მიიღონ აქტიური მონაწილეობა საწა-
რმოო თათფირებზე, აგრეთვე წარმოების
გაუმჯობესებასა და შრომის ორგანიზაციულად
მოწყობაში.

ე) ხელი შეუწყონ პარტიულსა და პროფ-
კავშირის ორგანიზაციებს ახალი მუშათა კულ-
ტურულ-პოლიტიკურ მომსახურეობის საქმია-
ნობაში.

ვ) ხელი შეუწყონ მუშა ხელის სამუშაოზე
ორგანიზაციულად აყვანას, ჩააბან საწარმოო-

ში თავიანთ ოჯახის წევრები, დაეხმარონ ზედ-
ეეტ მუშა-ხელის გამორკვევაში და ამ მუშა-
ს-ელის გეგმიანად ხელახლად განაწილებაში.

ზ) ინჟინერ-ტექნიკოსთა მუშაკები მოვა-
ლენი არიან გაუზიარონ თავისი ცოდნა და
ამოცდილება მუშათა ახალ კადრებს.

6. ქარხანაში მოვალეა:

ა) მოახდინოს საწარმოოს მუშა-მოსამსა-
ხურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის
ძალთა მობილიზაცია საწარმოო გეგმის მა-
ჩვენებელთა შესასრულებლად, ამ მიზნით გა-
ავითაროს სოცშეჯიბრება-დამკვრელობა, გა-
აძლიეროს საწარმოო თათბირის მუშაობა და
გაამახვილოს ამ თათბირების ყურადღება
შრომის ორგანიზაციის საკითხებისადმი.

ბ) მოაწყოს მუშათა აქტივის საშუალებით
სისტემატიური მეთვალყურეობა საწარმოო
გეგმის ოდენობითი და ხარისხობრივი მაჩვე-
ნებლების შესრულებაზე.

გ) მიიღოს მონაწილეობა მუშათა ოჯახე-
ბის წევრთა საწარმოში ჩაბმის საქმეში და
კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დადება-
ში, ხელი შუწყოს საშეფო მუშაობის სახით კოლ

მეურნეობებში შრომის ორგანიზაციულ გაუმ-ჯობესებას და კოლმეურნეობებში ზედმეტ მუშა-ხელის გამოყენებას, უზრუნველყოს სოც. ხელშეკრულების შესრულება იმ ნაწილში, რომლითაც გათვალისწინებულია სამუშაოზე აყვანილ მუშათა კულტურული ყოფაცხოვრებისა და პოლიტიკური მომსახურეობა.

დ) ხელი შეუწყოს შრომის დისციპლინის განმტკიცების კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობის განვითარებით და საზოგადოებრივი ზეგავლენის გაძლიერებით—მფრინავების, წამგლეჯებისა და შრომის დისციპლინის დამრღვევების წინააღმდეგ.

ე) მიიღოს აქტიური მონაწილეობა შრომის ორგანიზაციაში ზედმეტი მუშა-ხელის გამორკვევით და ამ ძალის გეგმიანად ხელახლად განაწილებით, მიიღონ აგრეთვე აქტიური მონაწილეობა ტექნიკურ დანორმვის და შრომის ხელფასის გადახალისების საქმინობაში.

ვ) გაუწიოს ერთნაირი მომსახურეობა როგორც დროებით, ისე მუდმივ მომუშავე მუშებს, დაეხმაროს ადმინისტრაციას ხანძრის წინააღმდეგ საბრძოლო საშუალებათა მოწყობაში. იბრძოლოს მუშათა მომარაგების გაუმ-

ჯობესებისათვის, ჩამოაყალიბოს სანიმუშო კულ-
ტურული მომსახურების ორგანიზაცია, გაუწი-
ოს მეთვალყურეობა და პრაქტიკული დახმა-
რება ბინების, აბანოების და სხვათა მშენებ-
ლობის საქმიანობაში.

გ) მოაწყოს ქარხნის მმართველობასთან ერ-
თად სისტემატიური ინფორმაცია საწარმოო
დავალებათა, სოც-შეჯიბრების და დამკვრე-
ლობის შედეგების შესახებ.

თ) გაშალოს საწარმოში კურსებისა და
წრეების ქსელი მუშების კვალიფიკაციის
აწევის და გადამზადების მიზნით.

II. მუშა-ხელის სამუშაოზე ორგანიზაციული შეკრება, კადრების მომზადება, ტექნიკის დაუფლება.

§-7 მუშა-ხელის სამუშაოზე აყვანას ადმინი-
სტრაცია აწარმოებს ორგანიზაციულად; სა-
მუშაოს ძალის შევსება ხდება კოლმეურნეობას-
თან და შრომის ორგანოებთან ხელშეკრულე-
ბის დადებით, და მუშა-მოსამსახურეთა, ინჟე-
ნერ-ტექნიკური პერსონალის ოჯახის წევრთა
წარმოებაში ჩაბმით.

ადმინსტრაცია ვალდებულია გამოყოს სა-

თანადო პირი, რომელსაც დაეკისრება მუშა-ძალის მიღება-დათხოვნის პასუხისმგებლობა. თავისი მხრით ქარხნის ადგილკომმა უნდა გამოყოს თავის შორის ერთი წევრი, მუშა-ძალის სამუშაოზე აყვანის საქმეში მეთვალყურეობის გასაწევად.

ადმინისტრაცია ვალდებულია თითოეული ახლად აყვანილ მუშაკის შესახებ აცნობოს სამი დღის ვადაში ქარხნის კომიტეტს, ხოლო ამ უკანასკნელს უფლება აქვს სამი დღის ვადაში დღიდან ცნობის მიღებისა, წამოაყენოს დასაბუთებული აცილება ამ ახალ მიღებულის შესახებ.

§-8. წარმოებაში ქალთა შრომის ჩანერგვის მიზნით, ადმინისტრაცია ვალდებულია იყოლიოს წარმოებაში, ქალები შემდეგი პროფესიების:

1. მემანქანე მზეთავი 50%.
2. ტოტრების შემკეთებელნი 100%.
3. ციტროვალშიცები და პრობის გადამრჩეველნი 100%.
4. სასწორზე მომუშავენი 80%.
5. გამგორებლები 100%.

წინასწარ გაატაროს ისინი მოკლე-ვადიან კურსებზე და აგრეთვე დაიცვას დებულება

ს. ს. რ. კ. შრ. კომისარიატის 19/V-31 წლის ქალთა შორის შრომის გამოყენების შესახებ.

§-9. **ადმინისტრაცია ვალდებულია:**

ა) სისტემატიურად გამოარკვიოს ზედმეტი საუშაო ძალა, და გეგმა შეწონილად ხელახლად გაანაწილოს იგი, როგორც თვით დაწესებულების, საამქროების შორის, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დაწესებულებისა და დარგების შორის ზემდეგ ორგანოების მითითების თანახმად.

ბ) განთავისუფლებულ ადგილებისა და სამუშაოების შევსების დროს, აგრეთვე ახალ სამუშაოზე მიღების დროს პირველ რიგში ადმინისტრაციამ უნდა წინ წასწიოს უფრო მაღალ კვალიფიციურ სამუშაოზე მომუშავე დამკვრელები, ახალგაზრდები და ქ ა ლ ე ბ ი, ის პირები, რომელთაც აქვთ უფრო ხანგრძლივი ნამსახურეობა ამ საწარმოოში, აგრეთვე ის მუშები, რომელთაც გათავებული აქვთ მუშათა სალამოს სკოლა და პროფტექნიკური კურსები, ადმინისტრაცია ვალდებულია თითოეულ კვარტალში შეიმუშაოს უფრო მაღალ კვალიფიკაციის სამუშაოზე წაწევის კონკრე-

ტიული გეგმა (მუშათა რაოდენობისა და პროფესიების აღნიშნვით) და ეს ცნობები მიაწოდოს ქარხნის მუშათა კომიტეტს.

გ) გამოიღოს 5,000 მან. მასიური ტექნიკური ბიბლიოთეკის შესანახად.

დ) მიიღოს თავის თავზე ხარჯები მუშათა საწარმოო ექსკურსიების ხარჯების დასაფარავად 2.000 მან. და გასაგზავნ პირთა სია ადმინისტრაციამ წინასწარ უნდა შეუთანხმოს ადგილკომს.

ე) გამოიყოს 2,000 მან. დაუსწრებელ ტექნიკურ კურსებზე მუშათა სწავლის ხარჯების დასაფარავად.

ვ) მოაწყოს ყველა მუშებისათვის ტექნიკური კონსულტაცია.

§-10. ადმინისტრაცია ვალდებულია 1933 წლის განმავლობაში:

ა) მოამზადოს და გადაამზადოს საფაბრიკო-საქარხნო ტექნიკურ კურსებზე 60 კაცი.

ბ) მიავლინოს საწარმოოს გარეშე სასწავლებლად კურსებზე 5 კაც.

§-11. ის პირები, რომლებიც გაგზავნილ იყვნენ კურსებზე მოსამზადებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად კურსების დამთავრების

შემდეგ ვალდებულნი არიან იმუშაონ იმ საწარმოოში, საიდანაც იყვნენ გაგზავნილნი კურსებზე, 5 წელიწადი, ნაცვლად მთელი დროისა, რომელიც გაატარეს სასწავლებელში.

§-12. ის პირები, რომელებიც საწარმოო ხარჯზე მიიღებენ თავის კვალიფიკაციას და მე-10 §-ში აღნიშნული ვადაზე ადრე დასტოვებენ სამუშაოს ან იქნებიან დათხოვნილნი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ვალდებულნი არიან აუნაზღაურონ დაწესებულებას მათ სწავლებაზე გაწეული ხარჯები პროპორციულად დამუშავებული დროისა.

III. შრომის სოციალისტური ორგანიზაცია.

§-13. **ქარხნის მმართველობა ვალდებულია:**

ა) ხუთი დღის ვადაში განიხილოს ყველა რაციონალიზაციური ხასიათის წინადადებანი, რომლებიც შემოტანილი იქნება საწარმოო თათფირის, მუშა-მოსამსახურეების, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალის მიერ და იმავე ვადის განმავლობაში აცნობოს ავტორს შემოტანილ წინადადებების შედეგები.

ამა თუ იმ წინადადებების ან გამომგონებლობის მიღების შემდეგ მმართველობამ ავ-

ტორს უნდა მისცეს პრემია დაჯილდოების
შესახებ არსებულ დებულებასთან შეფარდებით
და მიღებული წინადადება ან გამომგონებ
განახორციელოს განსაზღრულ ვადაზე. შემო
ტანილ წინადადებაზე ვარგისობის შესახებ
წამოჭრილი უთანხმოება უნდა გადაეცეს საბო
ლოო გადასაწყვეტად ზემდგომ სამეურნეო დ
პროფკავშირის ორგანიზაციებს.

ბ) უზრუნველყოს ექსპერტიზას მიერ სას
წრაფო განხილვა, აგრეთვე აღრიცხვა და რე
ალიზაცია მუშათა წინადადების გაუმჯობესე
ბისა, გამოგონებისა.

გ) გაუწიოს აქტიური დახმარება საწარ
მოო თათბირების მუშაობას და უზრუნველყო
ეს მუშაობა საჭირო მასალებით და ტექნიკურ
პერსონალიდან გამოყოფილი მომხსენებლებით

დ) აწარმოვოს დამკვრელი ბრიგადების
და სოც. შეჯიბრში მონაწილეთა მუშაობი
სისტემატიური აღრიცხვა და არა უგვიანე
ყოველთვის 5 რიცხვისა წარუდგინოს ქარხ
ნის ადგილკომს ცნობები დამკვრელ ბრიგადე
ბისა და სოც. შეჯიბრში მონაწილეთა მუშა
ობის შესახებ. აღრიცხვის საწარმოებლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიყოს თითოეულ საამქროსათვის სპეციალური პირები.

ე) 5-დღის განმავლობაში დღიდან ბრიგადის სურვილის განცხადებისა სამ. ანგარიშზე გადასვლის შესახებ გადასწყვიტოს საკითხი სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ, დამუშაოს მაჩვენებლები ბრიგადის ან ცალკე პირის მუშაობისათვის და დასდვას სამეურნეო ანგარიშის ხელშეკრულება

საუკეთესო დამკვრელ მოწაფეებს პრემია ეძლევა მოზრდილ მუშებთან თანასწორად საუკეთესო ხარისხიანობისათვის სკოლასა და წარმოებაში, ვადაზე ადრე საწარმოო სამოსწავლო გეგმის შესრულებისათვის, დისციპლინის საუკეთესო დაცვისათვის და სხ. დასაჯილდოვებლად კანდიდატების წამოყენებას აწარმოებს ადმინისტრაცია და საქარხნო კომიტეტი ან საწარმოო თათბირი და პრემიის გაცემის საკითხი უნდა განიხილოს საამქროს მუშათა კრებამ (საქარხნო კონფერენციამ).

§-14. საქარხნო ადგილკომი ვალდებულია უზრუნველყოს სისტემატიური ხელმძღვანელობით და ინსტრუქტაჟით დამკვრელ და სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების მომწყობი პირე-

ბი, ამ მიზნით დამკვრელ და სამეურნეო ანგა-
რიშის ბრიგადებს და სოც. შეჯიბრში მონა-
წილე მუშებს, ინჟენერ-ტექნიკოსთა სექციამ
უნდა აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება უნდა
მოაწყოს საწარმოო თათბირები ჯგუფებისა
და პროფესიების მიხედვით, უნდა იქნეს
უზრუნველყოფილი ამ თათბირებში მუშების,
ინჟენერ-ტექნიკურ მუშაკთა და ადმინისტრა-
ციის ფართო მონაწილეობა.

§-15. ადმინისტრაცია, ქარხნის ადგილკო-
მი, მუშა-მოსამსახურები, ინჟენერ-ტექნიკოსთა
მუშაკები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ
შრომის დისციპლინის განმტკიცება ერთმა-
რთველობის მკვეთრად ჩატარების საფუძვე-
ლზე, მასიურ კულტურულ-პოლიტიკურ მუშა-
ობის წარმოებასთან ერთად მათ უნდა მია-
ხწიონ შინაგან განაწესის აუცილებელ შესრუ-
ლებას და იმ პირების მიმართ საზოგადოე-
ბრივი ზეგავლენის ღონისძიებათა განხორცი-
ელებას, ვინც არღვევენ შრომის დისციპლინას.
მტკიცეთ გაატარონ საკ. ცაკის და სახკომ-
საბჭოს 15/XI-32 დადგენილება.

§-16. ადმინისტრაცია და ქარხნის ადგილ-
კომი ვალდებულნი არიან შექმნან საწარმოო-

საამხანაგო სასამართლოსთვის ხელსაყრელი პირობები (სხდომებისათვის ბინების მიჩენა, ადგილკომის მიერ ხელმძღვანელობისა და ინსტრუქტაჟის გაწევა, საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანა და სხვა).

VI. შრომის ანაზღაურება და ტექნიკური დანორმვა.

§-17. მომუშავეთათვის პირველი კატეგორიის განაკვეთი დაწესებულია 1 მ. 75 კ. ოდენობით. დღიური განაკვეთებისათვის მომუშავეთა ტარიფიკაციასთან შეფარდებით დაწესებულია შემდეგი სატარიფო ცხრილი:

კატეგორიები:	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**
კოეფიციენტი	**1,02**	**1,25**	**1,45**	**1,75**	**2,16**	**2,60**	**3,20**
დღიური მუშის დღიური ხელფასი	**1,75**	**2,19**	**2,54**	**3,06**	**3,67**	**4,55**	**5,60**
სანარდო დღიური ხელფასი:	**2,50**	**3,13**	**3,63**	**4,37**	**5,25**	**6,50**	**8,00**

§-18. სატარიფო ცხრილის მიხედვით მუშების პერსონალურ კატეგორიებად დაყოფას აწარმოებს დამოუკიდებლად საწარმოოს

დირექტორი და საამქროს უფროსები სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობასთან შეფარდებით, რომელიც მოქმედობს ცემენტისა და კერამიკის მრეწველობაში. ტარიფიკაციის ნიადაგზე მუშებსა და ადმინისტრაციის შორის აღმოცენებული კონფლიქტი უნდა გადასწყვიტოს განყოფილების ან საამქროს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიამ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს კომისია შეთანხმებას ვერ მიაღწევს, საკითხი უნდა გადაეცეს საერთო საქარხნო შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას.

შენიშვნა: სატარიფო საკვალიფიკაციო ცნობის მიღებისთანავე ც. კ. მჭიდის და კერამიკის კავშირიდან, ადმინისტრაცია და ქარხკომი ვალდებულნი არიან გაატარონ ასეთი ცხოვრებაში მეორე კვარტალში.

§-19. მოწაფეს ტარიფიკაცია სწარმოებს არსებულ ოთხ თანრიგიან სატარიფო ქსელის მიხედვით.

პირველი თანრიგი: 1 მან. 10 კ.

კატეგორიები:	**1**	**2**	**3**	**4**
დღიური განაკ.	**1.0**	**1.2**	**1.5**	**1.9**

შენიშვნა: 2 და 2 ნახ. წლის ვა-

დიან კურსების მოწაფეები უკანასკნელ ნახევარ წლედში გადასვლისას, სათანადო ექსპერტიზის შემდეგ გადაიყვანებიან მუშათა ცხრილში და მიეცემათ ფაქტიური ნამუშევარის ხელფასი.

§-20. მძიმე და მავნე საამქროებში მომუშავეთა მოწაფეთათვის განაკვეთები დიდდება 10—20%-ით შედარებით იმ მოწაფეებთან, რომელნიც წარმოების ნორმალურ პირობებში მუშაობენ. მოწაფეთა თანრიგიდან გადაყვანის დებულების გატარებასთან ერთად გამოყენებული იქნეს პრაქტიკა მოწაფეთა 6-თვეზე ადრე გადაყვანისა მომზადებასთან დამოკიდებულებით.

§-21. ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის შრომის ხელფასის ანაზღაურება სწარმოებს თანამდებობათა მიხედვით დანაწილების თანახმად.

§-22. იმ მიზნით, რომ მოხდეს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურად დაინტერესების წახალისება საწარმო-საფინანსო გეგმის შესრულებასა და გადაჭარბებით შესრულებისა

შრომის ნაყოფიერების აწევაში, მუშათა ძალის სწორად განაწილებასა და გამოყენების ნიადაგზე, თვითღირებულების შემცირებაში და პროდუქციის ხარისხიანობაში, ადმინისტრაცია ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში შემოიღოს პრემიით დაჯილდოვება ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა, საამქროებისა და ქარხნის მმართველებისა ოდენობის, ხარისხისა თვითღირებულების მიხედვით დავალებათა შესრულებისათვის და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

§-23. ინჟ.-ტექნიკოსთა მუშაკების პრემიით დაჯილდოვება უნდა იყოს მტკიცე ინდივიდუალური ხასიათის, ე. ი. პრემია უნდა მიეცეს თითოეულ მუშაკს მის მიერ შესრულებულ სამუშაოს შედეგების მიხედვით, და დამოუკიდებლად იმისა, თუ რა შედეგები მიიღო საერთო განყოფილებამ ან საამქრომ გეგმის შესრულებისას ოდენობითი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. საამქროს უფროსები და მათი თანაშემწეები პრემიას იღებენ მთელი საამქროს შედეგების მიხედვით.

§-24. მოსამსახურეებს და დაბალ მომსახურეობის პერსონალს შრომის ხელფასი ეძლევათ თანამდებობრივი განაკვეთით თანამდებობის მიხედვით დანაწილების თანახმად. ამ ჯგუფის მუშაკთათვის განაკვეთებს ხელფასის ფონდის ფარგლებში ქარხნის მმართველობის განყოფილებებში აწესებს საერთო ქარხნის ადმინისტრაცია, ხოლო საამქროებში საამქროების ადმინისტრაცია. ხელფასის სახელმწიფო დანორვამდე განაკვეთების დაწესების ნიადაგზე ყველა ამ შემთხვევაში აღმოცენებულ კონფლიქტებს სწყვეტს საერთო საქარხნო შემფასებელი საკონფლიქტო კომისია.

ამასთანავე ერთად ადმინისტრაცია ვალდებულია მოაწყოს მუშებისათვის ტექნიკური ინსტრუქტაჟი იმ ანგარიშით, რომ თითოეულ ახლად დაწესებულ გამომუშავების ნორმაზე ზევით მუშას მიეცეს დეტალური ახსნა-განმარტება მუშაობის იმ მეთოდების შესახებ, რომლების საფუძველზედაც ახალი ნორმა უნდა შესრულდეს.

გადასინჯული ნორმები ძალაშია ერთი წლის განმავლობაში. ნორმების გადასინჯვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდე-

საც იცვლება სამუშაოთა ტექნოლოგიური პირობები და შემოღებულია ახალი ტექნიკური ან ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომლებიც ადიდებენ გამომუშავების ნორმებს. ეს გადასინჯვა ხდება აგრეთვე, როდესაც ნორმები აწეულია ან შემცირებული.

§-25. სანარდო შეფასების გამოანგარიშება ხდება შემდეგნაირად: სატარიფო განაკვეთს უნდა მიემატოს არსებული საანგარიშო კოეფიციენტი, მიღებული ჯამი უნდა გაიყოს გამომუშავების ნორმაზე.

§-26. შრომის ხელფასის რეგულირებისა და საგეგმო წესით გადასინჯვის დროს ქარხნის მმართველობამ უნდა იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხ. გათვალისწინებულ საკონტროლო ციფრებით.

§-27. ადმინისტრაცია ვალდებულია ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს პროდუქციის ტექნიკური ხარისხიანობა და საგეგმო წესი სანარდო შეფასებათა და გამომუშავებათა ნორმების გადასინჯვის დროს, დააწესოს სანარდო შეფასება ხარისხობის მიხედვით, ხოლო იმ ვარაუდით, რომ დაბალ ხარისხების პრო-

დუქციებზე გაიცეს უფრო ნაკლები, ვიდრე პირველ ხარისხზე.

§-28. მუშებსა და ადმინისტრაციის შორის ნორმებისა და შეფასების ნიადაგზე აღმოცენებულ დავას სწყვეტს შემფ. საკ. კომისია, ხოლო კონფლიქტის განხილვამდე მუშას არ აქვს უფლება უარი სთქვას შეკვეთილ სამუშაოზე, თუნდაც არ ეთანხმებოდეს იგი იმ შეფასებას ან შემუშავების ნორმას, რომლებიც მას ადმინისტრაციამ გამოუცხადა.

§-29. მოწაფე, რომელიც შეითვისებს ვადაზე ადრე კვალიფიკაციას, დაიშვება საამქროში სანარდო სამუშაოზე, ამასთანავე მათი შრომის ანაზღაურება სანარდო შეფასების მიხედვით სწარმოებს იმავე პირობებით როგორც კადრების მუშებისა, ხოლო შემოკლებულ საათებში ნამუშევარზე დამატებითი ხელფასი ეძლევა მოწაფეთა სატარიფო ცხრილის მიხედვით.

§-30. მოწაფეები, რომლებიც მუშაობენ ნარდათ მომუშავეებთან მონარდეთა ბრიგადაში, იღებენ ნარდათ მომუშავეების ან ბრიგადის გადამუშავების საშუალო პროცენტს,

მთლიანად ამ უკანასკნელთა სატარიფო განაკვეთზე.

§-31. იმ კვალიფიციურ მუშებს, რომლებთანაც მიმაგრებულნი არიან მოწაფენი საწარმოო სწავლებისათვის და რომლებიც ამ სამუშაოს აწარმოებენ შეთავსებით საწარმოში თავის ძირითად სამუშაოსთან ერთად, ეძლევათ კომპენსაცია დამატებითი ჯილდოს სახით 25 პროც. იმ განაკვეთისა, რომელსაც იღებს სასწავლებლად მიმაგრებული მოწაფე. ამასთანავე 15% ამ კუთვნილ ჯამისა ეძლევა კვალიფიციურ მუშას ყოველთვიურად, ხოლო დანარჩენი წლის ნახევრის დამთავრებისას იმ შემთხვევაში, თუ მოწაფე გამოცდას ჩააბარებს. თუ სწავლება სწარმოებს ნარდ მომუშავეთა ბრიგადაში, ამ შემთხვევაში კომპენსაციას ამ სწავლებისათვის ამავე წესით იღებენ მუშები, რომლებთანაც არიან მოწაფეები მიმაგრებულნი.

ანაზღაურების ასეთივე წესი ვრცელდება იმ მუშებზედაც, რომლებიც ხელმძღვანელობენ საწარმოების კადრების მუშების სწავლებას. ბრიგადაში სწავლების დროს ადმინისტრაცია ვალდებულია ყველა მოწაფეები

მიამაგროს არა უმდაბლეს მე-4 თანრიგის კვალიფიკაციურ მუშებს.

§-32. იმ მოწაფეთა შრომის ანაზღაურებას, რომლებიც სწავლობენ გადამზადების ან კვალიფიკაციის აწევის მიზნით, აწარმოებს ადმინისტრაცია არსებული წესის თანახმად.

ქარხკომი ვალდებულია ყოველთვიურად ხელფასის გაცემის უწყების შედგენის შემდეგ გაუწიოს კონტროლი ხელფასის ფონდებს ხარჯვის გეგმასთან დიმოკიდებულებით.

V. შრომის პირობების გაჯანსაღება.

§-33. **ადმინისტრაცია ვალდებულია:**

ა) კარიერებზე შრომის ნაყოფიერების აწევის მიზნით დადგას ექსკავატორი და ქვისმტრეველი, ალებასტრის დასამტრევათ.

ბ) გაიღოს ტექნიკ. უსაშიშროების საჭიროებისათვის 8. 000 მან., შრომის დაცვის საჭიროებისათვის—24. 000 მან. ქარხკომი ვალდებულია გაუწიოს ყოველდღიური კონტროლი საწარმოო საფინანსო გეგმის თანახმად ამ მიზნისათვის გამოღებულ თანხების დახარჯვას.

გ) არა უგვიანეს 1933 წლ. მე-II კვარ-
ტალის დაბოლოვებისა შეაკეთოს (ააგოს) აბა-
ნოები და სახლი მომუშავებისათვის.

დ) არა უგვიანეს 1933 წლ. მე-III კვარ-
ტალის დაწყებისა დადგას ყველა საამქროებ-
ში საკმაო რაოდენობის ბაკები, რომლებ-
შიაც მუდმივად უნდა იყოს ადუღებულ (გაგრი-
ლებული) წყალი, ბაკებთანავე უნდა იყვეს
წყლის სასმისი.

ე) არა უგვიანეს 1933 . . მაისისათვის
მოაწყოს სამქროებში პირსაბანი, საპონი
და პირსახოცი. წელიწადში-მუშას მიეცეს
ერთი პირსახოცი.

§-34. ცხიმი, სპეცტანსამოსი და სხვა
უნდა მიეცეს მუშას, საკ. შრომის სახკომის ნორ-
მების თანახმად. სპეცტანსაცმელის გარეცხვას
შეკეთებასა და დეზინფექციას, აგრეთვე სპეც-
ტანსაცმელის შეკეთებას საწარმოო ახდენს
თავის ხარჯზე.

§-35. მუშები მოვალენი არიან ფრთხი-
ლად და დაზოგვით მოეპყრან მოსახმარებლად
მიღებულ ტანსაცმელს და აგრეთვე დაწესებულ
წესის თანახმად, ჩააბაროს შესანახად, რო-
გორც საკუთარი ტანსაცმელი, ისე მიღებული

სპეცტანსაცმელი და სპეცფეხსაცმელი.

§-36. ადმინისტრაციამ უნდა გამოყოს შინა-ქარხნის ტერიტორიაზე ბინა სამკურნალო დახმარების პუნქტის საჭიროებისათვის და მისცეს ამ პუნქტს სამეურნეო ხელსაწყო და სატრანსპორტო საშუალებანი ავადმყოფ მუშების სამკურნალოში გადასაყვანად.

ყველა საამქროში უნდა იყოს მოწყობილი ადმინისტრაციის მიერ კომპლექტიანი ჩატარა აფთიაქი, რომლის მეთვალყურეობა ეკისრება განსაზღვრულ პირებს საამქრო კომიტეტთან შეთანხმებით.

ადმინისტრაცია და ფაბრ-ქარხ-ადგილკომები ვალდებულნი არიან წინასწარ გაატარონ ყველა მისაღები შეგირდის პროფ. შერჩევა და აწარმოონ ამ შეგირდების სისტემატიური მედ. შეოწმება სწავლების ჩატარების პერიოდში.

§-37. ადმინისტრაცია ვალდებულია საწარმოში სანიტარულ მინიმუმის ჩატარების მიზნით შეასრულოს დაწესებულ ვადაში ყველა ლონისძიებანი შრომის სახ. კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით (საკ. სახკომსაბჭოს 1930 წლის 20/15

დადგენილება). ქარხნის კომიტეტი ვალდებულია დააწესოს სისტემატიური კონტროლი ადმინისტრაციისა და მუშა-მოსამსახურეების მიერ ხელშეკრულების დაცვა-შესრულებაზე.

§-38. ადმინისტრაცია ვალდებულია გაგზავნოს სანიტარულ-სამკურნალო და დასასვენებელ სახლში 7 დამკვრელი, რომლებიც ასრულებენ და გადაჭარბებით ასრულებენ გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს და საჭიროებენ მკურნალობას და დასვენებას. ამასთანავე ადმინისტრაციამ დაჯილდოვების ფონდიდან უნდა გამოყოს სპეციალური თანხა სამგზავრო ბარათების შესაძენად.

§-39. ადმინისტრიცია ვალდებულია მოაწყოს ტექნიკური უშიშროების კურსები საწარმოო თავისებურობის პირობებთან შედარებით და ჩააბას ამ კურსებზე ყველა მუშა-მოსამსახურენი.

მუშები ვალდებულნი არიან: შეასრულონ უშიშროების ტექნიკისათვის არსებული ყველა წესი, დაიცვან სამუშაო ადგილებში აუცილებელი ტექნიკური პირობები, თავის დროზე აცნობონ ადმინისტრაციას იმ დაზიანებათა შესახებ, რომლებიც აღმოაჩინეს მათ

მოძრავ მექანიზმისა და დასაცავ მოწყობილობილობაში.

§-40. ადმინისტრაცია ვალდებულია საბინაო აღმშენებლობისათვის სამრეწველო საფინანსო გეგმით ნავარაუდევი 170.000 მან. რაოდენობის თანხებიდან დახარჯოს საცხოვრებელ სახლების ასაშენებლად. მთლიანად სახლების აგება უნდა დამთავრდეს არა-უგვიანეს 1933 წლ. მესამე კვარტალისა.

ქარხნის მმართველობის კუთვნილ სახლებში ბინების დანაწილებას აწარმოებს ადმინისტრაცია ქარხკომთან შეთანხმებით. ბინების მისაღებად უპირატესობითი უფლება ეძლევათ პირველ რიგში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დამკრელ მუშაკებს და გამომგონებლებს, საწარმოში ხანგრძლივად მომუშავეებს.

ბინები იმ სახლებში, რომლებიც ახლად შენდება, წინასწარ უნდა განაწილდეს მუშებს შორის, რომ სახლის მომავალში მცხოვრებნი ჩაებან სახლების დროზე აგების მიზნით არსებულ საზოგადოებრივ მეთვალყურეობაში.

§-41. წარმოებაში მომხდარ უბედურების გამო გარდაცვალებულ მუშების ინჟინერ-ტექნ. მუშაკებსა და მომსახურეთა ოჯახებს ადმინის-

ტრაცია აძლევს ერთდროულ დახმარებას ერთი თვის სამუშაოს ხელფასის რაოდენობით.

§-42. ხელი შეუწყოს კოოპერაციას მომარაგებაში; ამ მიზნით ადმინისტრაციამ უნდა გაიღოს კრედიტი 20.000 მან. რაოდენობით და უნდა გამოყოს ბინა დახურულ განმანაწილებელისათვის საწარმოოს ტერიტორიაზე ან მის მახლობლად.

შენიშვნა: ღამის ცვლებს სასადილოებმა მომსახურეობა უნდა გაუწიონ ისევე, როგორც დღის ცვლებს. უკიდურეს შემთხვევაში დასაშვებია საჭმლის გადატანა ცხელ ტერმოსებით სათანადო მოწყობილ ბუფეტებში.

§-43. ქარხანამ ვალდებულია გაუწიოს სისტემატიური მასიური კონტროლი საწარმოში დახურულ განმანაწილებლებისა და ბუფეტების მუშაობას და აღმოუჩინოს ყოველგვარი პრაქტიკული დახმარება მომუშავეთ შესაფერისი მომარაგების და კვების გაუმჯობესების საქმიანობაში, და გამოიყოს განსაკუთრებული მაგიდები, პირველ რიგში დამკვრელ მუშა და ი. ტ. მ. დამკვრელებისათვის.

§-44. ადმინსტრაცია აწარმოებს მუშაობის საჭიროებისთვის 1 პროც. დარიცხვას

მთელ იმ თანხაზე, რაც გაცემულია სამუშაოთ ხელფასად და გარდა ამისა ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) დაუთმოს ბინა წითელ კუთხებისათვის, როგორც წარმოებაში, აგრეთვე საერთო საცხოვრებლებში, მოამარაგოს ის ბინები დანადგარებით და ხელსაწყოთი (მაგიდები, სკამები, სასწავლო დარგები და სხვა) და აგრეთვე გაიღოს ხარჯები წითელ კუთხეების გასანათებლად, გათბობა და დაგვა-დასალაგებლად.

ბ) დაუთმოს გამოსადეგი ბინა წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეთა სალიკვიდაციო მუშაობისათვის.

გ) მოაწყოს თავის ხარჯზე 1933 წ. რადიო წითელი კუთხეებში და გამოიღოს თანხები რადიო-კვანძის გასაფართოებლად და უზრუნველყოს იგი ელექტროენერგიით.

დ) მიიღოს მონაწილეობა საფაბრიკო-საქარხნო ბეჭდითი სიტყვის დაფინანსებაში (მრავალტირაჟიანი გაზეთი).

§-45. ყველა მუშა-მოსამსახურეებს წლის განმავლობაში ეძლევა შვებულება თანახმათ არსებული დებულებისა.

დამატებითი შვებულება წარმოებებში ეძ-
ლევა მომუშავეებს აგრეთვე თანახმად არსე-
ბულ დებულებისა.

შენიშვნა: ყველა შვებულებები წლის
განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს
ერთ თვეს.

ყველა მომუშავენი, რომელნიც განუ-
წყვეტლივ მუშაობდნენ ქარხანაში და 7
ნოემბრამდე 1932 წ. შეუსრულდა ორი
წელი—და მეტი, იღებენ სამი დღის
შვებულებას დამატებით.

§-46. სამუშაოზე მიღება:

1. ახალ მომუშავეების მიღება სწარმოებს
თანახმად მომქმედ კანონმდებლობისა.

2. ადმინისტრაცია მოვალეა აცნობოს
ქარხკომს ახალი თანამშრომლების მიღების
'მესახებ.

3. სამუშაოზე ჩარიცხვა გაიფორმება სა-
თანადო სიაში შეტანით, ხოლო პასუხისგებ-
ელი მუშაკები კი ბრძანებაში გამოცხადებით.

4. ახლად მიღებულ თანამშრომლებს და
მუშებს ადმინისტრაცია არა უგვიანეს შვიდი
დღისა დაქირავების შემდეგ აძლევს საანგარი-
შო წიგნაკს, საანგარიშო წიგნაკების გაცემა

არ არის საკალდებულო თუ მუშა დაქირავებ-
ბულია ვადით არა მეტ 12 დღისა.

§-47. სამუშაო დღის სიგრძე დაწესებულია:

ა) 7 საათი ყველა მუშა-მოსამსახურე-
ებისათვის.

ბ) ექვსი საათი ახალგაზრდებისათვის
16-18 წლამდე.

§-48. ზედმეტი საათის სამუშაოებები აკრ-
ძალულია. საჭიროების და გვარად ზედმეტი
საათების სამუშაო, ყოველცალკე შემთხვევაში
დაიშვება მხოლოთ დირექტორის ნებართვით.

§-49. მუშა-თანამშრომელს არა აქვს უფლე-
ბა უარი განაცხადოს ზედმეტი სამუშაო საა-
თების სამუშაოებზე. იმ შემთხვევაში თუ მუშა
მოსამსახურე სთვლის იმ განკარგულებას უკა-
ნონოდ, მოვალეა შეასრულოს მუშაობა, მხო-
ლოდ ვალდებულია შეატყობინოს ეს ქარხკომს.

§-50. ყოველი საჭუშაო, როგორც ინდივი-
დუალური, აგრეთვე ბრიგადული, სანარდო და
დროებითი სწარმოებს წინასწარ გაცემული
ნარიადების მიხედვით და ადმინისტრაციის
განკარგულებით; ნარიადში უხდა იყვეს ნაჩვე-
ნები ვადა, რაოდენობა და სანარდო განაკვეთი.

§-51. მუშაობის გაჩერება მომარაგების, მასალების, ინსტრუმენტების მიუწვდენლობის გამო და აგრეთვე მანქანების და დაზგების გაფუჭების გამო უნდა ჩაითვალოს გაცდენათ, რაც უნდა ანაზღაურდეს შრომის სახ. კომისარიატის დადგენილების მიხედვით.

VII ინჟინერ-ტექნიკურ მუშათა შრომის პირობები.

§-52. შემდგომ ორგანოების დირექტივათა განხორციელების მიზნით ადმინისტრაცია ვალდებულია ერთი თვის ვადაში მისცეს ყველა ინჟ-ტექნ. მომუშავეს ინსტრუქცია, სადაც იქნება განსაზღრული თითოეული მუშაკის უფლება-მოვალეობანი თანამდებობის მიხედვით. ადმინისტრაცია და ქარხკომი მოვალენი არიან (ი. ტ. სექცია) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ ის სამუშაო, რომელსაც ასრულებს ინჟ.-ტექნ. პერსონალის თითოეული მუშაკი, იმ მიზნით, რომ ეს პერსონალი განთავისუფლდეს იმ ფუნქციებიდან, რაც მის მოვალეობას არ შეადგენს. ინჟ.-ტექნ. სექ. კისრულობს ვალდებულებას ჩააბას თვითკონტრაქტაციაში ინჟ.-ტექნ. პერსონალის ყველა მუშაკი.

§-53. ინჟ.-ტექნ. მომუშავეთა მიღება-დათხოვნას აწარმოებს ადმინისტრაცია, რომელმაც ცვლილებათა შესახებ უნდა შეატყობინოს ქარხკომს. ადმინისტრაცია ვალდებულია მიიზიდოს ი. ტ. მ. აქტიური მონაწილეობის მისაღებად ინჟ.-ტექნ. მუშაკთა კადრების გეგმის შევსებისა და რაციონალურად გამოყენების საკითხების გარდაქმნაში. ი. ტ. მ. კისრულობს ვალდებულებას ხელი შეუწყოს სამეურნეო ორგანოს ინჟ.-ტექნ. მომუშავეთა წარმოებაში შერჩევასა და სწორად განაწილებაში.

§-54. ინჟ.-ტექნ. მუშაკებს არა აქვთ უფლება სამუშაო დროის განმავლობაში გასცდენ სხვა რაიმე სამუშაოზე, რაც მათ მოვალეობაში არ შედის, თუ წინასწარ ადმინისტრაციისგან ნებართვას არ მიიღებენ.

§-55. გადადებულ თანხების ფარგლებში ადმინისტრაციამ აუცილებლად უნდა გამოიყოს წლიურად 5000 მან. ინჟ.-ტექნ. მუშაკთა კვალიფიკაციის აწევის მიზნით. ასეთ ღონისძიებას შეადგენს მივლინებები და ექსკურსიები ს. ს. ს. რ. კ. შიგნით, განმეორებით კურსების მოწყობა და ამგვარ კურსებზე მივლინება, სამეცნიერო-ტექნიკურ ყრილობებსა და თათბი-

რებზე, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებში სამუშაოდ მივლინება. უცხო ენების შესწავლა, ტექნიკური ბიბლიოთეკის მოწყობა და შევსება ი. ტ. მ. და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობა და სხვა.

§-56. ადმინისტრაცია ვალდებულია ინჟ.-ტექნ. მუშაკთა დაუსწრებელი სწავლებისათვის, ი. ტ. მ. ბიურო ვალდებულია აწარმოვოს მუშაობა დაუსწრებელ კურსების მსმენელთან (ბრიგადების და წრეების დაარსება კურსების გასავლელად) და ჩამოაყალიბოს თვით კონსულტაცია.

§-57. ადმინიხტრაცია ვალდებულია:

ა. მიუჩინოს საცხოვრებელი ბინა ი. ტ. მ. მუშაკებს, რომლებსაც ასეთი ფართობი სრულიად არა აქვთ ანდა მეტად ესაჭიროებათ.

VIII- უპირატესობანი კავშირის წევრებს.

§-58· თანაბარ პირობებში კავშირის წევრები სარგებლობენ შემდეგი უპირატესობით:

ა) სამუშაოზე დატოვება სწარმოებს ზედმეტ მუშა ხელიდან განთავისუფლების დროს,

რეთვე სხვა სამუშაოზე ან საწარმოში გადა-
ანის დროს.

ბ) მაღალი კვალიფიკაციის სამუშაოზე.

გ) მუშათა საღამოს სკოლებში და კვალიფი-
ციის ასამაღლებელ კურსებზე მიღების დროს.

დ) საქარხნო სახლებში საცხოვრებელ ფარ-
ობის პირველ რიგში მიღება.

ვ) პირველ რიგში გაგზავნა სანატორიუმე-
ბი, კურორტებსა და დასასვენებელ სახლებში.

X. სახსრები პროფორგანიზაციებისათვის.

§-59. ფაბქარხკომის საჭიროებისათვის ად-
ინსტრაცია აწარმოებს დარიცხვას ერთი პრო-
ენტის რაოდენობით მთელ იმ თანხებზე, რაც
აიცემა შრომის ხელფასად.

ადმინისტრაცია ვალდებულია მისცეს ფაბ-
ქარხკომს და საამქროს კომიტეტს სამუშაოს
საწარმოებლად სრულიად ვარგისი და მოწყო-
ბელი ბინა, რომელსაც უნდა ჰქონდეს მოწყო-
ბილობა და რომლის ხარჯებსაც ისტუმრებს
ადმინისტრაცია (ტელეფონი, გათბობა, განა-
თება, დალაგება, რემონტი და სხვა).

§-60. ამ კოლექტიური ხელშეკრულების
პირობების შესრულებამდე მეთვალყურეობის

გასაწევად და შრომის დარგის საფუძველზე წამოჭრილ საკონფლიქტო გადასაჭრელად ქარხანა აწყობს საერთო საქარხნო და საამქრო შემთანხმებელ კომისიას, რომელიც მოქმედობს შრ. სახკომის. დებულებათა საფუძველზე.

X. კოლხელშეკრულების შემოწმების წესი.

§-61. ადმინისტრაცია და ქ. ა. კ. ვალდებულნი არიან მოაწყონ ურთიერთ დამოკიდებულებათა ყოველდღიური შემოწმება—თუ აღმოჩნდება, რომ კოლხელშეკრულება დარღვეულია, ადმინისტრაცია და ადგილკომი ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები დარღვევის გამოსასწორებლად.

§-62. ქ. ა. კ. და ქარხნის სამმართველო ყოველ 3 დღეში აწარმოებენ კოლექტიურ ხელშეკრულების მასიურ შემოწმებას.

§-63. კოლხელშეკრულების დარღვევისათვის კონკრეტიული დამნაშავენი ქარხნის სამმართველოს ხელმძღვანელ მომუშავეთა შემადგენლობიდან აგებენ პასუხს სისხ. სამ. კოდ. 134 მუხლის მიხედვით.

ყოველი მუშა, ინჟ.-ტექნ. მუშაკი და მოსა-
მსახურე აგებს დისციპლინალურ წესით პასუხს
სასჯელთა ტაბელის მიხედვით, აგრეთვე პასუ-
ისმგებელია წარმოებისა და საწარმოო-სა-
ამხანაგო სასამართლოს წინაშე, და როგორც
ივშირის წევრი, თავის პროფორგანიზაციის
ინაშე.

§-64. ადმინისტრაცია ვალდებულია ეს
ხელშეკრულება ყოველივე თავისი დანართებით
დაბეჭდოს არა უგვიანეს 1933 წ. 1 მაისისა
250 ც. რუსულად და 750 ცალი ქართულად
და დაურიგოს მუშებს უფასოდ.

ეს ხელშეკრულება ძალაშია 1933 წ. 1
აპრილამდე.

ქარხნის დირექტორი: ძმბაძე

ქარხკომის თ-რე: სურმავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა